ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-69.69221854**

თარიღი:**04/07/2022**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტებში 2019-2020 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

განხილული იქნა რა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმდინარე წლის 28 მარტს გადმოგზავნილი N 002197/18 მომართვის თანახმად, **მ**უნიციპალიტეტებში 2019-2020 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის მე -2 პუნქტისა და 61 -ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში მითითებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო კომპანიის საქმიანობაში აღმოჩენილი ნაკლოვანებების გამო, მუნისიპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის პროცესში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, მერიის შესაბამისი სამსახურის მეშვეობით გაზარდოს პროექტების საზედამხედველო საქმიანობის კომპანიის საქმიანობაში ჩართულობა, განახორციელოს ინტენსიური კომუნიკაცია მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დანერგოს სათანადო კონტროლისა და ანგარიშგების პრაქტიკა, რეგულარულად მიიღოს ინფორმაცია საქმიანობის შედეგების შესახებ და განახორციელოს ყველა ის ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის აქტიურ თანამშრომლობასა და კოორდინაციას. რაც ამავე დროს ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტსა და საზედამხედველო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ზედამხედველის ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 2.კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას, რომელმაც ინფორმაცია განკარგულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საკრებულოს წარმოუდგინოს მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში.

მუხლი 3 .განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. .განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი